

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე**  
**„პროკურატურის შესახებ“**

**საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საგამოძიებო უწყებების ჩამონათვალს, რომელსაც გააჩნიათ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უფლებამოსილება. ამგვარ ფუნქციის მქონე უწყებას მიეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება შემდეგ დანაშაულებზე:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე-118-ე, 120-ე-124-ე, 126-ე, 126<sup>1</sup>, 137-ე-139-ე, 143-ე-144-ე და 150-ე-151<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე-159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს;

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე-163-ე და 164<sup>ა</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369<sup>ა</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, თუ ეს დანაშაული სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამ პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობისას გამოავლინა.

ზემოხსენებული დანაშაულების მიმართ, სამართლებრივი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა უფრო მეტად ამაღლდეს გამოძიების ხარისხი დანაშაულთა სამომავლო პრევენციისთვის. შესაბამისად, გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება გადაეცემა დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოს საქართველოს პროკურატურას.

ამავდროულად, წარმოდგენილი კანონპროექტით აღმოიფხვრება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ბუნდოვანება. კონსტიტუციური სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფო მმართველობის მოდელი კონსტიტუციით ექსკლუზიურად უნდა იყოს მოწესრიგებული. დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი სტატუსი უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნის უზენაეს კანონში. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ კომპეტენციებს, რომელთა განხორციელება მხოლოდ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია. ამგვარ უფლებამოსილებას განეკუთვნება გამოძიების განხორციელება. თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურა წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომლის დამოუკიდებლობის ხარისხი უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, რაც ქმნის მყარ საფუძველს მის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული საკითხები მოწესრიგებულია კანონის დონეზე, საჭიროა დასახელებული ორგანული კანონის გარკვეული ნორმების ცვლილება და ახალი მოწესრიგება, რაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილების გზით.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები**

კანონპროექტის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგამოძიებო უფლებამოსილების გადასვლა, კონსტიტუციურ ორგანოში- საქართველოს პროკურატურაში.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტის მიხედვით, უქმდება „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონი, სპეციალური საგამომიებო სამსახური, სპეციალური საგამომიებო სამსახურის უფროსის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობა. აღნიშნული თანამდებობის პირებისთვის, აგრეთვე სამსახურის თანამშრომლებისთვის განისაზღვრა ფულადი კომპენსაციის მიცემის ვალდებულება.

ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზედაც „სპეციალური საგამომიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ვრცელდება სპეციალური საგამომიებო სამსახურის ქვემდებარეობა, კანონპროექტის მიხედვით, გადავა საქართველოს პროკურატურის საგამომიებო ქვემდებარეობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილია პროკურატურის თანამშრომლის მიერ.

კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ვალდებულება სამსახურის ლიკვიდაციის უზრუნველყოფასთან, ასევე, სპეციალური საგამომიებო სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონებისა და ამ სამსახურის კუთვნილი დოკუმენტაციის განკარგვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში)**

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება**

გამომდინარე იქიდან, რომ ცვლილების სრულად ასამოქმედებლად დამატებითი ღონისძიებების განხორციელება არის საჭირო, ნაწილი ნორმებისა ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ნაწილი კი 2025 წლის 1 ივლისიდან. ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)**

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

საკანონმდებლო ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

სპეციალური საგამომიებო სამსახურის ლიკვიდაცია გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდება სპეციალურის

საგამომიებო სამსახურში დასაქმებული პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

სპეციალური საგამომიებო სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების საფუძველზე დაიზოგება სახელმწიფოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა**

კანონპროექტს არ მოჰყვება ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**ბ<sup>1</sup>) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება**

კანონპროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ბ<sup>2</sup>) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში**

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

**ე) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ლუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ლუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.